ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N57

09.10.2025 წელი
15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ექვსი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ოთარ გრიგოლია** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი **ვლადიმერ ჭიღლაძე**, საკრებულოს წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი (საფუძველი წერილი #12-032526873-03, 25.09.2025წ.);

მომხსენებელი - ვლადიმერ ჭიღლაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

სხდომა წარიმართა **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის კომისიებთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა წარუდგინა.

ვლადიმერ ჭიღლაძე - მოგესალმებით, კახა აბულაძეს ყველა იცნობთ, ის გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. წლებია მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ბოლო პერიოდში წარმატებით იკავებდა ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობას, გახსნა არაერთი ახალი ბაგა-ბაღი. იქამდე ბატონი კახა მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, ასევე მუშაობდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წარმატებულად. მისი პიროვნული თვისებების და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით ბატონი კახი კალაძის გადაწყვეტილებით წარდგენილია თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ოთარ გრიგოლია - კახა აბულაძე ნამდვილად კარგი პროფესიონალი და სანიმუშო პიროვნებაა, მის მიერ განვლილი გზიდან გამომდინარე ნამდვილად იმსახურებს დედაქალაქის მერის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნას. მინდა წარმატებები ვუსურვო საქმიანობაში, დარწმუნებული ვარ კვლავ ენერგიულად განაგრძობს საქმიანობას და ბევრ მნიშვნელოვან საქმეს განახორციელებს ჩვენი დედაქალაქისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ოთარ გრიგოლია - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე